სამოქალაქო განათლების ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით დავალებათა ინსტრუქციებს, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების პირობა და შემდეგ გაეცით პასუხი.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია

დავალება არჩევითი პასუხებით (№1-12, 19.1, 23.1, 23.2)

თითოეულ კითხვას თან ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელზე, სწორი პასუხის შესაბამის უჯრაში, დასვით **X** ნიშანი. არც ერთი სხვა აღნიშვნა ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ მონიშნული პასუხის შესწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით **X** ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი. გასწორებულ პასუხს ხელმეორედ ვერ აირჩევთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) **1. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, რა შემთხვევაშია დასაშვები შემოქმედებითი ნაწარმოების გავრცელების აკრძალვა?**

ა) სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ ნაწარმოების გავრცელება ლახავს სხვათა უფლებებს;

ბ) პროკურატურის მოთხოვნით, თუ ნაწარმოები არ შეესაბამება საზოგადოების ზნეობრივ ნორმებს;

გ) პარლამენტის გადაწყვეტილებით, თუ ნაწარმოები შეიცავს ისტორიულად მცდარ ან დაუდასტურებელ შინაარსს;

დ) კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, თუ ნაწარმოების გავრცელებით საფრთხე ექმნება ტრადიციულ ღირებულებებს.

(1) **2. ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორი შეიძლება გახდეს სახელმწიფოს დემოკრატიული სისტემის დესტაბილიზაციის მიზეზი?**

ა) პოლიტიკური პოლარიზაცია;

ბ) კულტურული ინტეგრაცია;

გ) პარტიული კოჰაბიტაცია;

დ) სოციალური ინკლუზია.

(1) **3. საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული საპროცესო უფლება დაირღვევა იმ შემთხვევაში, თუ:**

ა) ბრალდების მტკიცების მოვალეობა დაეკისრება ბრალმდებელს;

ბ) პირს ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით დაედება მსჯავრი;

გ) კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ ექნება იურიდიული ძალა;

დ) პირი იმ სასამართლოს მიერ განისჯება, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

(1) **4. რა შეიძლება იყოს ინფლაციის ერთ-ერთი მიზეზი?**

ა) ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება;

ბ) კომპანიებს შორის მაღალი კონკურენცია;

გ) სესხის საპროცენტო განაკვეთის მატება;

დ) ფულის მიწოდების ზრდა.

(1) **5. რა გავლენას ახდენს საწარმოო პროცესზე განსაზღვრული საქონლისა და მომსახურების წარმოების დროს სპეციალიზაციაზე ორიენტირება?**

ა) მნიშვნელოვნად იზრდება წარმოების ეფექტიანობა და მცირდება შეცდომების დაშვება განსაზღვრულ დარგში;

ბ) ადვილდება ცვალებად გარემოსთან ადაპტირება და ახალი შესაძლებლობების მოძიება განსაზღვრული დარგის გარეთ;

გ) ნაკლები ყურადღება ექცევა სიღრმისეული ცოდნის მოპოვებას, თუმცა ხელი ეწყობა ზოგადი უნარების განვითარებას;

დ) იმატებს ბუნდოვანება როლების გადანაწილებისას, რაც ამცირებს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას.

(1) **6. ჩამოთვლილთაგან რომელია ადგილობრივი მოსაკრებელი?**

ა) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი;

ბ) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი;

გ) ლატარიის მოწყობისთვის დადგენილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი;

დ) წვევამდელთა ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებელი.

(1) 7. სქემა ასახავს ორგანზომილებიან პოლიტიკურ სპექტრს. რა უნდა ეწეროს კითხვის ნიშნის ნაცვლად?



ა) კომუნიზმი;

ბ) კონსერვატიზმი;

გ) სოციალური დემოკრატია;

დ) ლიბერალური დემოკრატია.

(1) **8. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რა შეიძლება გახდეს მუნიციპალიტეტის შექმნის ან გაუქმების საფუძველი?**

I. მუნიციპალიტეტის გაყოფა ორ ან მეტ მუნიციპალიტეტად.

II. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილის ინვესტორისთვის გადაცემა.

III. ურთიერთმოსაზღვრე მუნიციპალიტეტების გაერთიანება ერთ მუნიციპალიტეტად.

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ II და III;

გ) მხოლოდ I და III;

დ) სამივე.

(1) **9. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, რა უფლებამოსილება გააჩნია მედიატორს მედიაციის პროცესის წარმართვისას?**

I. საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, მოითხოვოს მედიაციის პროცესში მხარის ან მხარეთა უშუალო მონაწილეობა.

II. მედიაცია წარმართოს მხარეებთან როგორც ერთობლივი, ისე ინდივიდუალური კომუნიკაციის მეშვეობით.

III. მხარეთა შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება თავად მიიღოს.

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ II და III;

გ) მხოლოდ I და III;

დ) სამივე.

(1) **10. რომელი მსჯელობა გადმოსცემს მართებულად სამოქალაქო ნაციონალიზმის არსს თანამედროვე სახელმწიფოებში?**

ა) ეროვნული ერთიანობა ყალიბდება ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების საფუძველზე, ხოლო სამოქალაქო უფლებები და საზოგადოების ფართო პოლიტიკური მონაწილეობა მეორეხარისხოვანია;

ბ) სახელმწიფოში ერთიანობა მიიღწევა ისტორიულ ტრადიციებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, ხოლო საერთო სამართლებრივ პრინციპებსა და დემოკრატიულ მექანიზმებს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება;

გ) ეროვნული ერთიანობა ძირითადად სამართლებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა ვალდებულებების შესრულებას ეფუძნება, თუმცა პოლიტიკური მონაწილეობა შეზღუდულია და კულტურული მრავალფეროვნება ნაკლებად აღიარებულია;

დ) მოქალაქეთა გაერთიანება ხდება საერთო სამართლებრივი ჩარჩოს, სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების საფუძველზე, რაც სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციასა და დემოკრატიულ პროცესებში მათ აქტიურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

(1) 11. ცხრილი ასახავს წარმოშობის ქვეყნის მიხედვით თავშესაფრის მაძიებელთა სრული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას:

ქვეყნები	2010 წელი	2015 წელი	2023 წელი	შედარებითი ცვლილება 2015-2023
არგენტინა	84	160	4 388	+2 643%
სომხეთი	2 947	8 491	18 378	+116%
აზერბაიჯანი	2 072	5 212	6 777	+30%
ბელარუსი	737	1 472	11 837	+704%
ბელგია	6	37	149	+303%
საქართველო	7 185	9 245	38 556	+317%
შვედეთი	28	15	175	+1 067%
ტანზანია	194	1,577	2 954	+87%

რომელი მსჯელობა შეესაბამება ცხრილის მონაცემებს?

ა) წარმოშობის ქვეყნის მიხედვით თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა წლების მიხედვით ყველგან თანაბრად მზარდია;

ბ) 2010-2015 წლებში არგენტინიდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა ისევე გაიზარდა, როგორც 2015-2023 წლებში;

გ) 2023 წელს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის თავშესაფრის ყველაზე მეტი მაძიებელი საქართველოდანაა;

დ) წარმოშობის ქვეყნების მიხედვით თავშესაფრის მაძიებელთა შედარებითი ცვლილება ყველაზე მაღალი ევროპის ქვეყნებშია.

(1) **12. ინფოგრაფიკა ასახავს 2024 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის წინასწარ შედეგებს საქსტატის მონაცემებით:**





რომელი მსჯელობა შეესაბამება ინფოგრაფიკის მონაცემებს?

ა) საქართველოს ყველა რეგიონში მოსახლეობის ზრდის პოზიტიური დინამიკა ფიქსირდება;

ბ) სამეგრელო-ზემო სვანეთი და კახეთი ერთად უფრო მეტ მოსახლეობას აერთიანებს, ვიდრე თბილისი;

გ) მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოსახლეობის რიცხოვნობა ისევე გაიზარდა, როგორც აჭარის რეგიონში;

დ) მიუხედავად იმისა, რომ გურიაში მოსახლეობა 2014 წელთან შედარებით ყველაზე მეტად შემცირდა, იქ მაინც უფრო მეტი ხალხი ცხოვრობს, ვიდრე რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

ინსტრუქცია

თანმიმდევრობის დადგენა (№13)

დავალებაში მოცემული ჩამონათვალი დაალაგეთ მითითებული პრინციპის თანახმად. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ არჩეული პასუხის შესაბამისი ციფრი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(1) **13. საერთაშორისო ორგანიზაციები დაალაგეთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მათი შექმნის თარიღის მიხედვით:**

			4*	

* ცხრილში მითითებულია სწორი პასუხი.

ინსტრუქცია

შესაბამისობის დადგენა (№14, 15, 16)

დავალებაში ორ სვეტად მოცემულია სხვადასხვა ტიპის ჩამონათვალი. დაადგინეთ შესაბამისობა ამ ორ სვეტში წარმოდგენილ ინფორმაციას შორის. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(2) **14.** კონფლიქტურ სიტუაციაში მოლაპარაკების პროცესში მონაწილეები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს. შეუსაბამეთ მოლაპარაკების პროცესში ქცევითი მიმართებები მომლაპარაკებელ პირთა დამახასიათებელ თვისებებს:

	I. მომლაპარაკებელ პირთა დამახასიათებელი თვისებები	II. ქცევითი მიმართებები
ა)	▪ პესიმისტური; ▪ თავის ამრიდებელი; ▪ რისკზე არწამსვლელი; ▪ პრინციპი: ,,არავითარი კომუნიკაცია"	1. ძალაუფლებაზე ორიენტაცია 2. შედეგზე ორიენტაცია 3. სტატუს-კვოზე ორიენტაცია 4. მეგობრობაზე ორიენტაცია
ბ)	▪ პრაგმატული; ▪ მომრიგებელი; ▪ სტრატეგიის დამსახველი; ▪ პრინციპი ,,ორმხრივი კომუნიკაცია"	
გ)	▪ დამთმობი; ▪ შემგუებელი; ▪ არაკონკურენტული; ▪ პრინციპი: ,,ყოველმხრივი კომუნიკაცია“	
დ)	▪ აგრესიული; ▪ მანიპულაციური; ▪ არაკოოპერაციული; ▪ პრინციპი: ,,ერთი გზა - ჩემი გზა"	

(2) **15. I სვეტში მოცემულ სხვადასხვა მსოფლმხედველობის ამსახველ ციტატებს შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული პოლიტიკური იდეოლოგიები:**

I. ციტატები	II. პოლიტიკური იდეოლოგიები
ა) „საზოგადოებრივი ტრადიციები არსებობს, რადგან ისინი საზოგადოებას რეპროდუცირების შესაძლებლობას აძლევს. თუ მათ დაუდევრად გაანადგურებ, ამით წაშლი იმ გარანტიას, რომელსაც ერთი თაობა შემდეგ თაობას სთავაზობს.“	1. ანარქიზმი 2. ლიბერალიზმი 3. სოციალიზმი 4. ეკოლოგიზმი 5. კონსერვატიზმი
ბ) „ქიმიური ნივთიერებების ბიოლოგიური გავლენა თანდათანობით, ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში გროვდება. [...] ადამიანური ბუნებაა, რომ უყურადღებოდ ვტოვებთ იმას, რაც შესაძლოა მომავალი კატასტროფის ბუნდოვან საფრთხედ გვეჩვენებოდეს.“	
გ) „ადამიანის თავისუფლება საზოგადოებაში ისაა, რომ არ დაემორჩილოს სხვა საკანონმდებლო ძალაუფლებას, გარდა იმისა, რაც სახელმწიფოში თანხმობით მიიღება. ასევე, არ დაემორჩილოს რაიმე ნებას ან შეიზღუდოს რაიმე კანონით, გარდა იმისა, რასაც კანონმდებელი მიიღებს მისდამი გამოცხადებული ნდობის ფარგლებში.“	
დ) „სახელმწიფოს ქმედება არის ძალადობა, და თავის ძალადობას ის ,,კანონს“ უწოდებს, ინდივიდისას კი - ,,კრიმინალს“. [...] მხოლოდ კრიმინალის გზით სძლევს ინდივიდი სახელმწიფოს ძალადობას, როცა ფიქრობს, რომ სახელმწიფო მასზე მაღლა არ დგას, არამედ თავად დგას სახელმწიფოზე მაღლა.“	
ე) „მუშათა კლასმა უნდა ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია, რომელიც დაფუძნებული იქნება საყოველთაო და თანასწორ ხმის მიცემის უფლებაზე: ეს უნდა აღიბეჭდოს მის დროშებზე და გახდეს მისი ქმედებების ცენტრალური პრინციპი. მუშათა კლასის წარმომადგენლობა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებში უნდა იქცეს ფაქტად.“	

(1) **16.** რუკა ასახავს 2026 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს. I სვეტში მოცემულ ქვეყნებს შეუსაბამეთ II სვეტში მოცემული ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიები:



I. ქვეყნები	II. ეკონომიკური თავისუფლების კატეგორიები
ა) ნორვეგია	1. რეპრესირებული
ბ) ავსტრალია	2. მეტწილად არათავისუფალი
გ) არგენტინა	3. ზომიერად თავისუფალი
დ) ესპანეთი	4. მეტწილად თავისუფალი
ე) ირანი	5. თავისუფალი

ინსტრუქცია

შეცდომის გასწორება (№17)

დავალებაში მოცემულია ტექსტი, რომელშიც დაშვებულია ფაქტობრივი შეცდომები (თარიღი, ტერმინი, სახელი და სხვ). იპოვეთ და შეასწორეთ ისინი. ნაპოვნი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ ცხრილში (შეცდომა - I სვეტში, ხოლო შესწორებული ვარიანტი - II სვეტში). გაითვალისწინეთ, ყოველი ნაპოვნი შეცდომა, მის შესწორებულ ვარიანტთან ერთად, 1 ქულით ფასდება. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია დავალების გასწვრივ.

(7) **17. ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი, იპოვეთ და გაასწორეთ შეცდომები:**

მოქალაქეობა და პოლიტიკური კულტურა

მოქალაქეობა არა მხოლოდ იურიდიული სტატუსია, არამედ საზოგადოების განვითარების დინამიური პროცესის ნაყოფი. მოქალაქეობა გულისხმობს პირის სამართლებრივ-პოლიტიკურ კავშირს პარტიასთან, ინდივიდის უფლებებსა და ვალდებულებებს. მოქალაქეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამოქალაქო კულტურასთან - ღირებულებების, ნორმებისა და ქცევის წესთა ერთობლიობასთან, რომლებიც უზრუნველყოფენ პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობას. მაღალი პოლიტიკური კულტურა ქვეყნის სტაბილურობისა და დემოკრატიის ხარისხის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია.

ძალაუფლების ლეგიტიმაცია პოლიტიკური სისტემის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია. საქართველოში 1989 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სამოქალაქო ომმა და ეკონომიკურმა კრიზისებმა მნიშვნელოვნად შეარყია ხელისუფლების მიმართ მოქალაქეთა ნდობა. შედეგად წარმოიშვა ლეგიტიმაციის კრიზისი, რომელიც ხშირად გამოიხატებოდა პოლიტიკური აპათიით ან მასობრივი პროტესტებით.

ამ კრიზისის უკიდურეს გამოვლინებად იქცა 2003 წლის „ნარინჯისფერი რევოლუცია“, როდესაც საზოგადოების უკმაყოფილებამ არჩევნების გაყალბების გამო მწვავე პროტესტის სახე მიიღო. ეს მოვლენა ხაზს უსვამს, რომ რევოლუცია არა მხოლოდ ძალაუფლების შეცვლის, არამედ პოლიტიკური კულტურის გარდაქმნის ინსტრუმენტიც არის.

საქართველოში პოლიტიკური პროცესები ყოველთვის იყო იდეოლოგიების გავლენის ქვეშ. 1918–1921 წლებში სოციალ-დემოკრატიული იდეები განსაზღვრავდა დამოუკიდებელი რესპუბლიკის კურსს, ხოლო თანამედროვე

გადასვლა ტექსტის მეორე გვერდზე

ეტაპზე ლიბერალური და დემოკრატიული ღირებულებებისადმი სწრაფვამ განაპირობა ქვეყნის ევრაზიული მისწრაფებები.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის მნიშვნელოვანია ეთნოცენტრიზმი, რაც განიმარტება, როგორც ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნება, რომელიც მოითხოვს თანასწორი მოქალაქეობის უზრუნველყოფას, ერთიან პოლიტიკურ სივრცეში განსხვავებული იდენტობების ჰარმონიულად თანაარსებობისათვის.

პოლიტიკური წარმომადგენლობა ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმია, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები მონაწილეობენ მმართველობაში. პირდაპირი დემოკრატია სწორედ იმ იდეაზეა დაფუძნებული, რომ ამომრჩეველთა ინტერესებს მათ მიერ არჩეული ლიდერები გამოხატავენ. ამ პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს არჩევნები, რომლებიც არა მხოლოდ ხელისუფლების ლეგიტიმაციის მთავარი წყაროა, არამედ მოქალაქეთა პოლიტიკური აქტიურობის ინდიკატორიც.

საარჩევნო სისტემები განაპირობებს, თუ როგორ გადაიქცევა ამომრჩეველთა ხმა რეალურ მანდატებად. ჰეგემონურ საარჩევნო სისტემაში ყოველი პარტიის დეპუტატების რაოდენობა განისაზღვრება მათ მიერ მიღებული ხმების პროცენტის შესაბამისად. მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემაში ყოველ საარჩევნო უბანში არჩეულად ითვლება ის კანდიდატი, ვინც დააგროვებს ხმათა უმრავლესობას, სხვა კანდიდატისთვის მიცემული ხმები კი მანდატად არ გარდაიქმნება და ამომრჩეველთა ხმების ნაწილი იკარგება. შესაბამისად, პარტიული სისტემები პირდაპირ არის დაკავშირებული საარჩევნო წესებთან და განსაზღვრავს პოლიტიკური კონკურენციის ხარისხსა და ინსტიტუციურ სტრუქტურას.

დაბრუნება ტექსტის პირველ გვერდზე

ინსტრუქცია

დავალება ღია დაბოლოებით (№18, 19.2, 19.3, 20, 21, 22, 23.3-23.7)

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. პასუხების ფურცელზე შესაბამის ადგილას ჩაწერეთ დავალების პირობის ადეკვატური, კონკრეტული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პასუხი. ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია თითოეული დავალების გასწვრივ.

(4) **18.** სქემა არასრულად ასახავს მმართველობის სხვადასხვა ფორმას და მათ შესაბამის მახასიათებლებს. შეავსეთ სქემა:

მმართველობის ფორმები	მმართველობის აღწერა	სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები	მედიის თავისუფლების ხარისხი
ოლიგარქია	18.1	ეკონომიკური გავლენები, კორუფციული კავშირები, პოლიტიკური ლობი	შეზღუდული, ხშირად კონტროლქვეშაა
დიქტატურა	ძალაუფლება თავმოყრილია ერთი პიროვნების ხელში	ძალოვანი სტრუქტურები, ცენზურა, პოლიტიკური რეპრესიები	18.2
18.3	სახელმწიფოს მართავს სასულიერო პირი ან რელიგიური ინსტიტუტი	რელიგიური კანონები, სასულიერო სასამართლოები, მორალური პოლიცია	მკაცრი რელიგიური ცენზურა, მედია კონტროლდება რელიგიური ინსტიტუტებით
დემოკრატია	ხალხი პირდაპირ ან წარმომადგენლების მეშვეობით მართავს სახელმწიფოს	18.4	მაღალი, მედია დამოუკიდებელი და პლურალისტურია

(3) **19.** მოცემულია 2024 წლის მსოფლიო რუკა ლეგენდის გარეშე. რუკის ანალიზის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



(1) 19.1 რა არის ასახული მოცემულ რუკაზე?

ა) გლობალური მშვიდობის ინდექსი;

ბ) ადამიანური განვითარების ინდექსი;

გ) აკადემიური თავისუფლების ხარისხი;

დ) მოსახლეობის რელიგიურობის ხარისხი.

(1) 19.2 რუკის მონაცემების მიხედვით, დაასახელეთ მსოფლიოში ყველაზე დაბალი მაჩვენებლის მქონე ორი ქვეყანა.

(1) 19.3 იმსჯელეთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასა და მის განმაპირობებელ მიზეზებზე.

(5) **20. დავალებაში მოცემულია სასკოლო პროექტის მიზნის, ამოცანებისა და განხორციელების გზების არასრული ვარიანტი. იმისათვის, რომ სასკოლო პროექტის მოცემულმა ნაწილმა მიიღოს დასრულებული სახე, დავალებები შეასრულეთ შემდეგი თანმიმდევრობით:**

I. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ II ამოცანა ცხრილში მოცემული განხორციელების გზების ჩამონათვალიდან გამომდინარე; *(დავალება 20.2)*

II. დაწერეთ განხორციელების სამი სხვადასხვა გზა, რომლებიც ხელს შეუწყობს ცხრილში მოცემული I ამოცანის შესრულებას; *(დავალება 20.3)*

III. განსაზღვრეთ და ჩაწერეთ პროექტის მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია პროექტის ორივე ამოცანისა და მათი განხორციელების გზებიდან გამომდინარე. *(დავალება 20.1)*

(1)	20.1	<u>**პროექტის მიზანი:**</u> *(ჩაწერეთ მიზანი, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მოცემული ამოცანებიდან და განხორციელების გზებიდან გამომდინარე).*
(1)	20.2	<u>**პროექტის I ამოცანა:**</u> **მოსწავლეთა მიერ ადრეული ქორწინების მავნე შედეგების გაცნობიერება.** <u>**პროექტის II ამოცანა:**</u> *(განსაზღვრეთ და ჩაწერეთ კონკრეტული ამოცანა II ამოცანის განხორციელების გზებიდან გამომდინარე).*
(3)	20.3	<u>**I ამოცანის განხორციელების გზები:**</u> *(დაწერეთ მოცემული ამოცანის განხორციელების სამი სხვადასხვა გზა).* 1 2. 3. <u>**II ამოცანის განხორციელების გზები:**</u> 1. მოწვეული იურისტის მიერ სასკოლო საზოგადოებისათვის სემინარის ჩატარება: ,,საქართველოს კანონმდებლობა და ადრეული ქორწინება.“ 2. მოსწავლეთა მიერ სასკოლო გამოფენის ორგანიზება: ,,არასრულწლოვან ასაკში ქორწინების პრევენციული მექანიზმები.“ 3. საინფორმაციო ბროშურების ,,ადრეული ქორწინება დანაშაულია“ შექმნა მოსწავლეთა მიერ და თემში გავრცელება.

(4) 21. გაეცანით ილუსტრაციას და უპასუხეთ კითხვებს:

(1) 21.1 რა არის ილუსტრაციის მთავარი იდეა?

(1) 21.2 ახსენით, რატომ შეიძლება შეთქმულების თეორიები უფრო მიმზიდველი იყოს საზოგადოების გარკვეული ჯგუფისთვის, ვიდრე აქტიური მოქალაქეობა.

(2) 21.3 იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რა გავლენას ახდენს მოქალაქის რეალურ კეთილდღეობაზე კონსპირაციული თეორიებით გატაცება. იმსჯელეთ ალტერნატიულ დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესზე.

(5) **22. გაეცანით ტექსტს და შეასრულეთ დავალება ქვემოთ მოცემული მითითებების შესაბამისად:**

,,დღეს წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა კანონი, რომელიც შეამცირებს ვაჭრობისა და გლობალიზაციის ტვირთს ჩვენს სამუშაო ძალაზე. სიტყვა „გლობალიზაცია“ აღწერს სამყაროს, რომელიც ტექნოლოგიური ცვლილებებისა და ინოვაციების კვალდაკვალ სულ უფრო და უფრო მცირდება. გლობალიზაცია არ არის ერთგვაროვანი ძალა, არამედ განვითარებადი შედეგების კომპლექსი: ზოგი კარგი, ზოგი ცუდი და ზოგი არაპროგნოზირებადი. ეს არის ახალი რეალობა.“

ჯონ ბ. ლარსონი, ფრაგმენტი სტატიიდან: „გლობალიზაცია: შეხვედრა რეალობასთან“.

(1) 22.1 ტექსტიდან გამომდინარე, მკაფიოდ განსაზღვრეთ და დაასახელეთ სადისკუსიო თემა, რომელიც ორმხრივი დისკუსიის წარმართვის საშუალებას მოგცემთ. იმსჯელეთ თქვენ მიერ შერჩეული სადისკუსიო თემის შესაბამისობაზე მოცემულ ტექსტთან.

(4) 22.2 A. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის დასაცავად;

B. დაასახელეთ ორი არგუმენტი დისკუსიის დროს წარმოქმნილი პოზიციის უარსაყოფად.

(თითოეული არგუმენტი უნდა იყოს არსებითად დამოუკიდებელი საზრისის მატარებელი.)

(9) 23. გააანალიზეთ მოცემული წყაროები და უპასუხეთ კითხვებს:

წყარო N1

„საკუთარი შეხედულების სხვების შეხედულებებთან შეჯერებით შესწორებისა და შევსების მყარ ჩვევას არათუ ეჭვი და მერყეობა არ შეაქვს მის პრაქტიკულ გამოყენებაში, არამედ ერთადერთი მტკიცე საფუძველია მის მიმართ ნდობის გამართლებისთვის. მართლაც, თუ ადამიანმა გაიგო ყველაფერი, რაც მის წინააღმდეგ შეიძლება ითქვას და ყველა მოწინააღმდეგის საპირისპიროდ თავის პოზიციაზე რჩება - რადგან იცის, რომ თავს კი არ არიდებდა შეკამათებებსა და სიძნელეებს, არამედ თავად ეძებდა მათ; რომ არ დაუხშვია არც ერთი წყარო, რომლისგანაც შეიძლებოდა შუქი მოჰფენოდა საკითხის რომელიმე მხარეს - მას აქვს უფლება, იფიქროს, რომ მისი შეხედულება სჯობს ნებისმიერი სხვის, რაგინდ ბევრის, შეხედულებას, რომელსაც მსგავსი პროცესი არ გაუვლია.“

ჯონ სტიუარტ მილი, „თავისუფლების შესახებ“, 1859 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 2 3 4 5

დავალებებზე გადასვლა: 23.1 23.2 23.3-23.7

წყარო N2

„მეტყველების უნარი არის ის, რაც სხვა ცხოველებისაგან გამოგვარჩევს და ჯერ-ჯერობით კომპიუტერისაგანაც. თუკი ჩვენ მის თავისუფლად გამოყენებაში ხელს შეგვიშლიან, ჩვენ ვერ ვიქნებით საკუთარი თავი. ეს გულისხმობს საკუთარი თავის სხვისთვის ჩვენებას, რამდენადაც ამის სურვილი გვაქვს. თუკი ხელფეხს შემიკრავთ, თავზე ნაჭერს გადამაფარებთ, პირს ამიკრავთ, მე შეიძლება ვიფიქრო „ჩემი აზრები თავისუფალია; ამას ვერ წამართმევთ“. თუმცა ეს ყველაზე შინაგანი აზრის თავისუფლებაც კი მთლიანად ვერ გაიმიჯნება გამოხატვის თავისუფლებისაგან. ყველამ, ვინც წერს და ლაპარაკობს იცის, შენ მხოლოდ ლაპარაკის ან წერის პროცესში აღმოაჩენ თუ რას ფიქრობ. „აზრი პირში იქმნება“, თქვა დადაისტმა ტრისტან ცარამ.“

ტიმოთი გარტონ ეში, „სიტყვის თავისუფლება“, 2016 წელი.

წყაროებზე გადასვლა: *1* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

წყარო N3

„ვერცერთი მთავრობა ვერ იარსებებს, თუკი ისინი, ვინც ადამიანებს „ბოროტ აზრებს“ უჩენენ დასჯილები არ იქნებიან, თქვა ინგლისის მთავარმა მოსამართლემ 1704 წელს პამფლეტთან დაკავშირებით, რომელმაც სახელმწიფო მოხელეები კორუფციაში დაადანაშაულა. ავტოკრატულ მმართველობასაც სჭირდება სახალხო რწმენის გარკვეული დოზა და ყოველგვარი რწმენა წარმავალია. ძალაუფლება მუდმივად უნდა იქნას ხელახლა დამოწმებული და ამის გაკეთების ერთ-ერთი გზა არის აკრძალული ტექსტების განადგურებისაგან სანახაობის შექმნა. ასე ხდებოდა ცინის, მაოსა და ესპანური ინკვიზიციის თავდასხმების შემთხვევაში და დღემდე ასე გრძელდება. შეურაცხმყოფელი მასალების საჯარო განადგურება, კონკრეტულად ცეცხლით, ცხადჰყოფს მმართველის ერთპიროვნულ პრეროგატივას, მართოს საჯარო დისკუსია და რაც უფრო მნიშვნელოვანია, წაშალოს იდეები, რომელსაც შერჩეული ტექსტები გამოხატავენ. აზრები და მოსაზრებები ადამიანთა გონებაში რჩებიან, ეს სრულიად უმნიშვნელოა. ამ აზრთა არსებობა თავად არის შეურაცხყოფა და გარკვეული კორექტივები უნდა იქნას შეტანილი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად ფუჭი არიან. ტექსტების განადგურება, სინამდვილეში, არის ხელისუფლების აღიარება, რომ მას საწინააღმდეგო მოსაზრებებთან ერთად თანაარსებობა არ შეუძლია. ცენზურა ყოველთვის სხვადასხვა ხარისხით სისუსტის გამოვლინებაა.“

ერიკ ბერკოვიცი, „სახიფათო აზრები“, 2021 წელი.

წყაროებზე გადასვლა: 1 2 4 5 *დავალებებზე გადასვლა:* 23.1 23.2 23.3-23.7

წყარო N4

„ყოველთვის უნდა არსებობდეს და იარსებებს ცენზურის გარკვეული ხარისხი, სანამ ორგანიზებული საზოგადოებები იარსებებენ. მაგრამ თავისუფლება, როგორც როზა ლუქსემბურგმა თქვა, „სხვა ადამიანისათვის მინიჭებული თავისუფლებაა.“ მსგავსი პრინციპი იკითხება ვოლტერის ცნობილ სიტყვებში: „მე მძულს რასაც შენ ამბობ; მე სიკვდილამდე დავიცავ შენს უფლებას რომ ის თქვა.“ თუკი ინტელექტუალური თავისუფლება, რაც ეჭვგარეშეა, რომ ყოველთვის დასავლური ცივილიზაციის განუყოფელი მახასიათებელი იყო, საერთოდ რამეს ნიშნავს, ის ნიშნავს იმას, რომ ყველას ჰქონდეს იმის თქმისა თუ დაბეჭდვის უფლება, რაც ჭეშმარიტებად მიაჩნია, იმის გათვალისწინებით, რომ ის ცალსახად არ აზიანებს დანარჩენ საზოგადოებას.“

ჯორჯ ორუელი, „პრესის თავისუფლება“, 1972 წელი.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

წყარო N5

„სახელმწიფოს მმართველს სძულს მწერალი, ვინაიდან მწერალი განსხვავებული აზრის თესლებს თესავს. მმართველი ოცნებობს, რომ შეეძლოს ადამიანების აზროვნებისათვის ხელის შეშლა და ამიტომაც, ის მუდამ ხელოვნებსა და მწერლებს სდებს ბრალს, რომ მოწესრიგებულ სახელმწიფოში მათ არეულობა შემოაქვთ.“

ლი სიუნი, 1881-1936 წლები.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2* *23.3-23.7*

(1) **23.1 N1 წყაროს მიხედვით, რა შემთხვევაში აქვს ადამიანს უფლება იფიქროს, რომ მისი შეხედულება სხვისაზე უმჯობესია?**

ა) უმრავლესობაც იმავე აზრზეა, რომელსაც თავად იცავს;

ბ) დროის სვლა აჩვენებს, რომ მისი მოსაზრებები სწორია;

გ) საპირისპირო მოსაზრებების განხილვის მიუხედავად საკუთარზე რჩება;

დ) არგუმენტებს ნათლად და სხვებისთვის გასაგები ფორმით გადმოსცემს.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.2* *23.3-23.7*

(1) **23.2 N3 წყაროს მიხედვით, რატომ წვავს ერთპიროვნული მმართველი „შეურაცხმყოფელ მასალებს“ საჯაროდ?**

ა) სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დასაცავად;

ბ) საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერების ასამაღლებლად;

გ) მოსახლეობაში სიძულვილის გავრცელების აღმოსაფხვრელად;

დ) საზოგადოებრივ დისკუსიაზე ერთპიროვნული კონტროლის საჩვენებლად.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.3-23.7*

(1) 23.3 ჯონ სტიუარტ მილის მიხედვით, რატომ არის მნიშვნელოვანი კრიტიკული მოსაზრებების არსებობა საზოგადოებაში?

(1) 23.4 ტიმოთი გარტონ ეშის ტექსტის მიხედვით, რატომ ვერ გაიმიჯნება მთლიანად აზრის თავისუფლება გამოხატვის თავისუფლებისაგან?

(1) 23.5 ცენზურა ხშირად მმართველის სიძლიერედ აღიქმება. N3 წყაროში ერიკ ბერკოვიცი მიიჩნევს, რომ ცენზურა მმართველის სისუსტეზე მიუთითებს. დაასაბუთეთ ავტორის ეს მოსაზრება.

(2) 23.6 წყაროებზე დაყრდნობით განმარტეთ როზა ლუქსემბურგის მოსაზრება, რომ თავისუფლება სხვა ადამიანისათვის მინიჭებული თავისუფლებაა. ჯორჯ ორუელის მიხედვით, რა შეიძლება მივიჩნიოთ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ობიექტურ მიზეზად?

(2) 23.7 რა კავშირშია ხელოვნება და მწერლობა გამოხატვის თავისუფლებასთან? იმსჯელეთ არგუმენტირებულად, რატომ არის მათი დაცვა ცენზურისაგან მნიშვნელოვანი.

წყაროებზე გადასვლა: *1* *2* *3* *4* *5*

დავალებებზე გადასვლა: *23.1* *23.2*